

მარიამ მაჭარაშვილი
 თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
m.macharashvili@freeuni.edu.ge

პოსტ-საბჭოთა ყაზახეთის ტრანსფორმაცია: უპირველესად ეკონომიკა, მოგვიანებით პოლიტიკა

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში განხილულია პოსტ-საბჭოთა ყაზახეთის განვითარებისა და მოდერნიზაციის გზა. იგი ტრადიციულად ითვლება ცენტრალური აზიის რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელმა ყაზახეთმა წარმატებას მიაღწია ეკონომიკურ ტრანსფორმაციის კუთხით, მაგრამ თავი ვერ აარიდა ე.წ. „რესურსების წყევლას“ - საერთო პრობლემას ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში, რომლებიც, პარადოქსულად, არადემოკრატიული ტიპის მმართველობით გამოირჩევიან. Freedom House-ის თანახმად, ყაზახეთი არის ნამდვილი კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი (Freedom House 2021). პოლიტიკისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის განსხვავებული მასშტაბი ბადებს შეკითხვას, თუ რატომ ვერ მოახერხა ყაზახეთმა რადიკალური პოლიტიკური რეფორმების გატარება. ნაშრომში გამოყოფილია სამი გამომწვევი ფაქტორი, რომელიც ხსნის ყაზახეთის პოლიტიკური ტრანსფორმაციის წარუმატებლობას: (ა) ყაზახურ ელიტებსა და საზოგადოებას შორის დადებული სოციალური კონტრაქტის განსხვავებული ტიპი, რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ განვითარებასა და ხალხის პოლიტიკური პროცესებისგან გაუცხოებას; (ბ) ძლიერი ლიდერობა და მთავრობის მიერ დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, რომელმაც ხელი შეუშალა რეჟიმის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას, (გ) ყაზახეთის ისტორიული მემკვიდრეობა - გამოწვევები დემოგრაფიულ თანასწორობაში, ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული იდენტობის ნაკლებობა. ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური ფილოსოფიის სოციალური კონტრაქტის თეორია და სოციალური მეცნიერებების მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდები, რათა გააანალიზოს მოცემული საგანი და ჩამოაყალიბოს დასკვნა.

საკვანძო სიტყვები: პოსტ-საბჭოთა ყაზახეთი, პოლიტიკური ტრანსფორმაცია, სოციალური კონტრაქტი, რეფორმები.

შესავალი

ყაზახეთი ცენტრალური აზიის პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოა, რომელმაც წარმატებით მოახერხა რადიკალური რეფორმების გატარება ეკონომიკურ სფეროში და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. კერძოდ, მან წარმატებას მიაღწია ეკონომიკურ ტრანსფორმაციაში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში, პრივატიზაციის პოლიტიკაში, საგადასახადო რეფორმებში და მონეტარულ პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. შესაბამისად, 2000-იან წლებში ყაზახეთმა განიცადა ეკონომიკური აღმავლობა და ორნიშნა რიცხვით ზრდა (World Bank 2018, 2). 2006 წლამდე მშპ-ს წლიური ზრდა იყო 9%-დან 13%-მდე, რამაც ყაზახეთი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკად აქცია მსოფლიოში (World Bank Data 2020)¹. ეკონომიკის აღმავლობა ძირითადად გამოწვეული იყო ბუნებრივი რესურსების ექსპორტით,

¹ მშპ-ს წლიური ზრდის (%) შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 1.

განსაკუთრებით, ყაზახური ნავთობით თენგიზის საბადოებიდან (Esanov n.d., 3). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყაზახეთი მიჰყვებოდა მიდგომას, რომელიც კარგად გამოხატა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა² 2011 წელს თავის საინაუგურაციო გამოსვლაში, „უპირველესად ეკონომიკა, მოგვიანებით პოლიტიკა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთავრობის მთავარი პრიორიტეტი რადიკალური ეკონომიკური რეფორმები იყო 1990-იანი წლების ქალტური პერიოდის შემდეგ (Ibadildin and Pisareva 2020). ამრიგად, დემოკრატიზაციის ნაკლოვანებები გამართლდა ეკონომიკური ტრანსფორმაციის აუცილებლობით და პოლიტიკურმა მოდერნიზაციამ უკანა ფლანგზე გადაინაცვლა.

შესაბამისად, ყაზახეთმა წარმატებას მიაღწია ეკონომიკურ პოლიტიკაში, მაგრამ მან თავი ვერ აარიდა ე.წ. „რესურსების წყევლას“- საერთო პრობლემას ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში, რომლებიც, პარადოქსულად, არადემოკრატიული ტიპის მმართველობით გამოირჩევიან (Wandel 2009). ზაკარია (Zakaria 1997) ყაზახეთი მიიჩნია არალიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, „ტირანიასთან მიახლოებულად“, სადაც არსებობს გარკვეული საარჩევნო პროცედურები, მაგრამ თავად რეჟიმის არსი ავტორიტარულია. ოფიციალური მონაცემებიც იმავეს მეტყველებს. Freedom House-ის მონაცემებით, ყაზახეთის დემოკრატიის ქულა და პროცენტული მაჩვენებელი თანდათან მცირდება 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, მხოლოდ 2009 წლის გამონაკლისის გარდა, როდესაც ყაზახეთმა საარჩევნო და მედიის მარეგულირებელ დოკუმენტებში გარკვეული ლიბერალური ცვლილებები შეიტანა ეუთოს თავმჯდომარეობის წინ (Freedom House 2020). უფრო მეტიც, BTI-ის თანახმად, ყაზახეთი არის მკაცრი ავტორიტარია პოლიტიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით და ის 137 სახელმწიფოთა შორის მე-100 ადგილს იკავებს (Bertelsmann Transformation Index 2020). ყაზახეთის გლობალური დემოკრატიის ქულა ძალიან დაბალია 3.14, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ცენტრალური აზიის ეს სახელმწიფო არის კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი (The Economist 2020). ხალხის ან ელიტის მხრიდან მმართველობის ფართომასშტაბიანი ცვლილება არ ხდება. როგორც ნაზარბაევმა შეაჯამა თავისი მოსაზრება 2015 წელს „დემოკრატია არ არის ჩვენი გზის საწყისი, არამედ ის ჩვენი დანიშნულების საბოლოო წერტილია“ (Tengri News 2015).

პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის განსხვავებული მასშტაბი ბადებს შეკითხვას, თუ რატომ ვერ მოახერხა ყაზახეთმა პოლიტიკური რეფორმების გატარება. ამ მხრივ, ნაშრომში გაანალიზებულია სამი არგუმენტი. პირველი ეხება თეორიულ ახსნას და იყენებს პოლიტიკური ფილოსოფიის სოციალური კონტრაქტის თეორიას, მეორე ანალიზებს ავტორიტარული პრეზიდენტის, ნაზარბაევის, მიერ დაწესებული მკაცრი შეზღუდვების შედეგებს და ბოლო არგუმენტი შეეხება ქვეყნის ისტორიულ მემკვიდრეობას. ნაშრომში გამოყენებულია სოციალური მეცნიერებების მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდები მოცემული ფენომენის შესასწავლად, შესაფასებლად და გასანალიზებლად. მათ შორისაა: ლიტერატურის მიმოხილვა, დოკუმენტების ანალიზი და დედუქცია. დოკუმენტის ანალიზი მოიცავს პრესრელიზის, გამოსვლებისა და ოფიციალური დოკუმენტების შესწავლას, განსაკუთრებით ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომლებიც წარმოადგენს პირველად წყაროებს. ლიტერატურის მიმოხილვა შეისწავლის მეორეულ წყაროებს: წიგნებს, ანგარიშებსა და სტატიებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კონტექსტის სრულად გაგებისთვის და დედუქცია, რომელიც უზრუნველყოფს შედეგის პროგნოზირებას თეორიული პერსპექტივიდან.

სოციალური კონტრაქტის თეორია პოსტ-საბჭოთა ყაზახეთში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყაზახეთის მმართველ ელიტებსა და ყაზახ მოსახლეობას შორის ურთიერთობის აღწერა კარგადაა შესაძლებელი სოციალური კონტრაქტის

² ნურსულთან ნაზარბაევი იყო ყაზახეთის პრეზიდენტი 1990-2019 წლებში და შემდეგ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.

თეორიით. სოციალური კონტრაქტი არის პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი გამო-
რჩეული თეორია, რომელიც საზოგადოებასა და მთავრობას შორის არაპირდაპირი კონტრაქ-
ტის ზოგად კონცეფციას ასახავს. თეორიის მიხედვით, ხალხი მზად არის დაეთანხმოს თა-
ვიანთი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვებს ხელისუფლების მხრიდან სტაბი-
ლურობის, უსაფრთხოებისა და მატერიალური სარგებლის უზრუნველსაყოფად (Ibadildin and
Pisareva 2020). ევერსი (Evers 1977) ამტკიცებს, რომ სახელმწიფო არის ხელოვნური მოწყობი-
ლობა ან ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავებულია ადამიანების მიერ მათი ურთიერთსარ-
გებლიანობისთვის; ის შექმნილია საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების დასაკმაყო-
ფილებლად. სოციალური კონტრაქტი, როგორც თეორია, იღებს სათავეს თომას ჰობსის, ჟან-
ჟაკ რუსოს, დევიდ ჰიუმისა და ჯონ ლოკის დასავლურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ისინი
თანხმდებიან, რომ სოციალური კონტრაქტი არის სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და
გრძელვადიანი არსებობის მთავარი საფუძველი (Boucher and Kelly 1994). როგორც ჟან-ჟაკ
რუსო ამტკიცებს: ”ყველაზე ძლიერი არასოდეს არის საკმარისად ძლიერი, რომ ყოველთვის
იყოს მთავარი, თუ ის ძალას არ გადააქცევს უფლებად, ხოლო მორჩილებას მოვალეობად”
(Rousseau 2004, 21). ამრიგად, სოციალური ხელშეკრულებისათვის მოვალეობები და პასუხის-
მგებლობები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

სოციალური კონტრაქტის თეორიის დასავლური წარმოშობის მიუხედავად, ის
შეიძლება მიესადაგოს საბჭოთა კავშირსა და თავად პოსტ-საბჭოთა სივრცეს. ჯერ კიდევ საბ-
ჭოთა კავშირში, მსგავსი ტიპის სოციალური ხელშეკრულება არსებობდა, რომელიც უფრო
თვალსაჩინო იყო ბრეჟნევის მმართველობის დროს. იგი გამოიხატებოდა, როგორც „ჩვენ
[ხალხი] თითქოს ვმუშაობთ, ისინი [მთავრობა] თითქოს გვიხდებიან“ (Bacon 2002; Ibadildin and
Pisareva 2020). ამ ტიპის სოციალური კონტრაქტი არის „კეთილდღეობის სახელმწიფოს ავტო-
რიტარიზმი“, რაც ბრესლაუერმა კარგად განმარტა, როგორც „პოლიტიკური, სოციალური და
მატერიალური სარგებლის ნიმუში, რომელიც მმართველმა ხელისუფლებამ შესთავაზა საზო-
გადოებრივ ჯგუფებს ურთიერთობების დასარეგულირებლად“ (Breslaue 1978, 13). საბჭოთა
კავშირში სოციალური ხელშეკრულების ეს ფორმა ხელოვნური იყო რესურსების სიმცირის,
ეკონომიკური სტაგნაციის, კორუფციის, მოხმარების გაზრდისა და ხალხის პოლიტიკური
გაუცხოების ფონზე. ზოგადად, ის შორს იყო ხალხსა და მთავრობას შორის სოციალური
კონტრაქტის რეალური გამოხატვისგან და მას უფრო ძალადობრივი ხასიათი ჰქონდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, „კეთილდღეობის სახელმწიფოს ავტორიტა-
რიზმის“ მემკვიდრეობა დარჩა დამოუკიდებელ ყაზახეთში. ამ პერიოდიდან მოყოლებული,
ქვეყანაში სოციალური კონტრაქტის თეორია ფართოდ შეიძლება შეფასდეს ძალაუფლების
ცენტრალიზაციით, ეკონომიკური ბაზრის ლიბერალიზაციით, რეალური დივერსიფიკაციის
ნაკლებობით, საბჭოთა სტილის ღიაობით, ახალი ელიტების აჯანყებითა და ყველა სხვა კონ-
სოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმის მახასიათებლით (Ibadildin and Pisareva 2020). ყა-
ზახეთმა ჩამოაყალიბა „სოციალური-რენტა კონტრაქტი“, მფარველობა და კლიენტისტური
ქსელები, რომელშიც „სახელმწიფო აწვდის საქონელს და მომსახურებას საზოგადოებას, ხო-
ლო საზოგადოება სახელმწიფო მოხელეებს ავტონომიით უზრუნველყოფს გადაწყვეტილე-
ბების მიღებისას“ (Ibadildin and Pisareva 2020). ასეთი პოლიტიკური სტრუქტურის საფუძვე-
ლია არაშრომითი შემოსავლის ფეოდალური მითვისება და შემდგომ ელიტების მიერ განაწი-
ლება (Sakwa 2014). ამრიგად, ყაზახეთის მმართველმა ელიტებმა შემოგვთავაზეს სოციალური
კონტრაქტი, რომელიც ხაზს უსვამდა ხალხის მატერიალური სარგებლით უზრუნველყოფას
უკონკურენტო სისტემისა და ელიტებისთვის სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობის
სანაცვლოდ.

უპირველესად ეკონომიკა, მოგვიანებით პოლიტიკა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყაზახეთში პოლიტიკური ტრანსფორმაცია
არ განხორციელებულა, მიუხედავად რადიკალური რეფორმებისა ეკონომიკის სფეროში. ყა-
ზახეთის „განსაკუთრებული გზა“ („ყაზახეთის გზა“) თეორია მხარს უჭერს პრეზიდენტის

უფლებამოსილების გაფართოებას, მსგავსად „აზიური მოდელისა“, რომლის დროსაც პოლიტიკური ცვლილებები მეორეხარისხოვანია ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით (Satpaev 2007). პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის პოლიტიკური წარმატების დისკურსი სოციალური კონტრაქტის საფუძველი გახდა იმ საზოგადოებაში, რომელმაც მთავრობა შეაფასა მხოლოდ „თავისი მოქალაქეებისთვის მატერიალური სარგებლის მომტანად“ (Olcott 2010). ფართო გაგებით, ასეთი დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას 1990-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკური კრიზისით. ყაზახეთის დამოუკიდებლობის პირველი წლები ქაოტური და რთული იყო. 1991-1994 წლებში ქვეყნის მშპ შემცირდა 60%-ით და წლიური ინფლაციის დონემ 1994 წელს 1800%-ს მიაღწია (Akhanov and Buranbayeva 1996). ამრიგად, მთავრობის მთავარი პრიორიტეტი მძიმე ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო, ხოლო კონსოლიდირებული წესით ეკონომიკური კრიზისის დაძლევის აუცილებლობა აჭარბებდა დემოკრატიული რეჟიმისადმი ერთგულებას.

ამგვარი ტიპის სოციალური კონტრაქტი, რომელიც ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული, აძლიერებს მოქალაქეთა ხანგრძლივ გაუცხოებას პოლიტიკური პროცესებისგან და სახელმწიფოს პირად ცხოვრებაში ჩარევას, რაც, თავის მხრივ, დამაკმაყოფილებელი შეთანხმება ხდება ყაზახურ ელიტებსა და საზოგადოებას შორის (Dave 2007). ამავე გაგებით, ადამიანები მიიღებენ მატერიალურ სარგებელს, ხოლო ავტორიტარული მმართველობა დარჩება უკონკურენტო. უფრო მეტიც, პოლიტიკური რეფორმების განხორციელების მოთხოვნა არ არსებობდა მოსახლეობის მხრიდან და არც მთავრობის მხრიდან მათი განხორციელების სურვილი. როგორც ვიაჩესლავ აბრამოვი³ შენიშნა, კარნეგის ვებინარზე რუსეთსა და ევრაზიასთან დაკავშირებით, ყაზახები არასოდეს გამოდიან ქუჩაში პოლიტიკური რეჟიმისა და ადამიანების თავისუფლებების შეზღუდვის გამო, არამედ მაშინ, როდესაც მათი შემოსავალი მცირდება (Carnegie Endowment for International Peace 2020, 40:54). ამრიგად, ნაზარბაევის რეჟიმის დემოკრატიული სტანდარტებისა და ალტერნატივების არარსებობა არ იყო შემამფოთებელი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. რეჟიმის ლეგიტიმურობა და მდგრადობა ემყარებოდა 2000-იანი წლების ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

მიუხედავად ამისა, 2010-იანი წლებიდან საზოგადოების უკმაყოფილება და გაურკვევლობის განცდა გაიზარდა ეროვნული ვალუტის დევალვაციის, ეკონომიკური რეცესიის, ნავთობის ფასების შემცირების, საკამათო მიწის კანონისა და რუსეთსა და ჩინეთთან კომპრომისების გამო. აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორები ყაზახური საზოგადოების ქუჩაში გასვლისა და არსებული რეალობის გაპროტესტების მთავარი განმსაზღვრელი გახდა. ჯერ ნაზარბაევი და შემდეგ კასიმ-ჯომარტ ტოკაევი⁴ გამოაცხადეს ფართომასშტაბიანი პოლიტიკური რეფორმები, მაგრამ ისინი არაეფექტიანი იყო დემოკრატიული პროცესებისა და ინსტიტუტების არარსებობის ფონზე. მოცემული რეფორმები განიხილება მხოლოდ საპროტესტო აქციებზე სიტუაციის განეიტრალების მიზნით გამოხატული რეაქცია (Ibadildin and Pisareva 2020). ერთი ნათელი მაგალითი იყო 2019 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების დასარეგისტრირებლად წევრთა რაოდენობა 20 000-დან 40 000-მდე გაიზარდა (Carnegie Endowment for International Peace 2020, 4:47). ეს მხოლოდ ზედაპირული ცვლილებაა, რადგან პარტიების რეგისტრაციის პროცესი ჯერ კიდევ საკმაოდ რთულია და მკაცრად კონტროლდება იუსტიციის სამინისტროს მიერ. ასევე, ტერიტორიასთან შედარებით მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის 40 000 დიდი რიცხვია. ამრიგად, ყაზახეთში პოლიტიკური მოდერნიზაცია ძალზედ ფასადურია, რადგან მმართველ ელიტაში არ არსებობს პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის სურვილი.

³ ვიაჩესლავ აბრამოვი არის ჟურნალისტი, რედაქტორი და Vlast.kz, დამოუკიდებელი, კრიტიკული ონლაინ ჟურნალის დამფუძნებელი, რომელიც აშუქებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს ყაზახეთში.

⁴ კასიმ-ჯომარტ ტოკაევი ყაზახეთის პრეზიდენტის პოსტს 2019 წლიდან იკავებს.

ნურსულთან ნაზარბაევის „ძლიერი ხელი“

პირველი პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის მიერ დამყარებული კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი თრგუნავდა პოლიტიკური პროტესტის ყოველგვარ მცდელობას და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების შექმნას, რამაც შეარყია პოლიტიკური ტრანსფორმაცია. გამონაკლისი იყო მხოლოდ სამწლიანი პერიოდი, როდესაც ყაზახეთის პოსტ-საბჭოთა ელიტა „სულ მცირე ევლირტავებოდა დემოკრატიაზე გადასვლის იდეას“ (Olcott 2010). ყაზახეთის პირველმა კონსტიტუციამ დაადგინა საპარლამენტო რესპუბლიკა ძალაუფლების მკაფიო გამიჯვნით, ფუნქციონალური სამართალდამცავი ორგანოებითა და პრეზიდენტის სამსახურის ორი ვადით. ამ „პროდასავლური დემოკრატიული რომანტიზმის“ შემდეგ პრეზიდენტმა ნაზარბაევმა დაიწყო ძალაუფლების ცენტრალიზაცია და დაარწმუნა პარლამენტი, რომ რადიკალური რეფორმების წარმართვისათვის საჭირო და აუცილებელი იყო ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება (Cumplings 2005; Satpaev 2007). მოგვიანებით, მან დაითხოვა პარლამენტი და გამოსცა განკარგულება, რომელიც კიდევ უფრო აფართოებდა პრეზიდენტის უფლებამოსილებას დემოკრატიული თავისუფლებების შემდგომი შეზღუდვებით, ოპოზიციის კონტროლითა და მედიის ცენზურით, რომელიც 1993 წლის ბორის ელცინის სცენარი იყო. ნაზარბაევის ერთ-ერთი კრიტიკოსი სერიკბოლსინ აბდილდინი⁵ აღნიშნავს, რომ პარლამენტის დაშლის შემდეგ მიღებული ცვლილებები იყო ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალება (Akkuly 2011). სწორედ, ნაზარბაევის ამ პოლიტიკურმა ქმედებებმა განსაზღვრა ქვეყნის ტრაექტორია ავტორიტარიზმისკენ.

მიუხედავად ამისა, ყაზახეთის გადასვლა კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმზე არ იყო ერთგვაროვანი, რადგან ქვეყნის ხელმძღვანელობას მოუწია ოპოზიციური აქტორების წინააღმდეგობის გადალახვა, ერთი მხრივ, ახალი ყაზახური ელიტებისგან, განსაკუთრებით, რახათ ალიევისა⁶ და მუხთარ აბლიაზოვის⁷ მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ. ყაზახები აპროტესტებდნენ ცხოვრების დონის გაუარესებას, შრომით პირობებს და შემოსავლის შემცირებას. ორივე შემთხვევაში, მთავრობამ მიიღო მკაცრი ზომები, გაათავისუფლა მომიტინგეები და დაიწყო გამოძიება ოპოზიციის ლიდერებზე. ნაზარბაევის მკაცრი შეზღუდვების მიზეზი მისი ძალაუფლებისა და პოლიტიკურ და სამოქალაქო წესრიგზე კონტროლის დაკარგვის შიში იყო. მოგვიანებით, ნაზარბაევმა დაადასტურა, რომ „მათ [ახალმა ყაზახურმა ელიტამ] თითქმის დამამარცხეს“ (Akkuly 2009). ტოკაევი, მიუხედავად დასავლურ მედიასთან მიცემული ლიბერალური ინტერვიუებისა, იმავე გზას დაადგა და მომიტინგეების მიმართ ძალა გამოიყენა მას შემდეგ, რაც გამოცხადდა 2019 წლის არჩევნების შედეგი. უფრო მეტიც, ყაზახეთში შეიქმმნა ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანი⁸, როგორც პირველი პოლიტიკური პარტია, რომელიც არ იყო დაკავშირებული მმართველ რეჟიმთან. თუმცა, ერთიანობის ნაკლებობამ, შიდა დაპირისპირებამ და სხვადასხვა ინტერესმა განაპირობა პარტიის დაყოფა ზომიერებად და რადიკალებად (Ibadildin and Pisareva 2020). ამგვარმა პროცესებმა ორი რამ გამოავლინა: ა) ერთიანობის პრობლემა და კონსენსუსის ნაკლებობა ყაზახეთის ახალ ელიტებსა და ნაზარბაევის ახლო წრიდან გასულ პირებს შორის; ბ) ავტორიტარულმა რე-

⁵ სერიკბოლსინ აბდილდინი იყო ყაზახი პოლიტიკოსი, ეკონომისტი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მაჟილისის წევრი (ყაზახეთის პარლამენტის ქვედა პალატა). იგი ითვლებოდა ყაზახეთის პარლამენტარიზმის ფუძემდებლად და ნაზარბაევის მმართველობის კრიტიკოსად.

⁶ რახათ ალიევი იყო ყაზახეთის მთავრობის წევრი და ნაზარბაევის სიმე. ის იყო ყაზახური საგადასახადო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სამსახურების უფროსი; საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; ელჩი ავსტრიაში და ეუთო-ში.

⁷ მუხთარ აბლიაზოვი იყო ენერგეტიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი. ის იყო DVK - ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანის დამფუძნებელი.

⁸ ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანი არის ცენტრისტული-მემარჯვენე პოლიტიკური პარტია, რომელიც დაარსდა ბიზნესმენებისა და ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მიერ 2001 წელს. მას ჰქონდა ძლიერი ანტი-ნაზარბაევის პოზიცია, აკრიტიკებდა პრეზიდენტს, კორუფციასა და ნეპოტიზმს. პარტია ისწრაფვის დაამხოს ყაზახეთის დღევანდელი ადმინისტრაცია მშვიდობიანი გზით და ქვეყანა გადააქციოს საპარლამენტო რესპუბლიკად.

ქიმმა მოახერხა ახლადშექმნილი ოპოზიციის ჩახშობა და შეარყია მმართველობის ტიპის შეცვლის ნებისმიერი მცდელობა.

ყაზახეთის ისტორიული მემკვიდრეობა

რეჟიმის შეცვლის პერსპექტივები და ადრეული იმედები, რომ ყაზახეთი დემოკრატიის შუქურა იქნებოდა არ გამართლდა. პრობლემის დიდ ნაწილს აქვს ისტორიული ხასიათი. ხანების, მეფეების, კომუნისტური პარტიის ხელისუფლების სათავეში მყოფმა პოლიტიკურმა იერარქიამ; კლანურმა ურთიერთობებმა; იმპერიულმა და კომუნისტურმა გუბერნატორებმა და *ოზკომის* თანამდებობის პირებმა ადგილი არ დაუტოვეს საზოგადოების ფართო პოლიტიკური მონაწილეობის განვითარებას. ამრიგად, ყაზახეთის დამოუკიდებლობა არ იყო დემოკრატიული ტიპის მმართველობისა და მისი ღირებულებების დაბრუნება. დემოკრატიის ყველა მახასიათებელი - კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, თავისუფალი მედია, ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები, ძლიერი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები, პოლიტიკურ პროცესებში მასობრივი მონაწილეობა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები - უნდა შეიქმნას საფუძვლიდან.

თუმცა, დემოკრატიული გადასვლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ყაზახეთის ეროვნული ერთიანობის ნაკლებობაა. კლანური მომთაბარეობისა და ორსაუკუნოვანი საგარეო ბატონობის დროსაც არ იყო ყაზახეთის მოსახლეობა ერთიანი. შეიძლება ითქვას, რომ ყაზახეთი არასოდეს არსებობდა როგორც კონსოლიდირებული და დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი მოდერნიზაცია იყო გასაბჭოების შედეგი (Bremer and Welt 1996). ეროვნულ იდენტობას არასოდეს ჰქონია ჩამოყალიბებისა და განვითარების შანსი. ყაზახეთი გამოირჩევა დემოგრაფიული უთანასწორობით, რადგან ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 1/5-ზე მეტს შეადგენენ. მსოფლიო ბანკისა და ყაზახეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით (2017), 67% ყაზახი, 20% რუსი, 3% უზბეკი, 1.6% უკრაინელი, 1.5% უიღური, 6.9% სხვები ცხოვრობენ ყაზახეთის ტერიტორიაზე (Blackwood 2021). ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ ეროვნული ერთიანობის, იდენტობის და დემოგრაფიული თანასწორობის პრობლემების გამო, ყაზახეთში დემოკრატიზაცია მნიშვნელოვნად დაზიანდა და შეცვალა ერის მშენებლობის პროცესები.

დასკვნა

მოცემული ნაშრომში განხილული იყო პოსტსაბჭოთა ყაზახეთის, როგორც ცენტრალური აზიის რეგიონის ლიდერი სახელმწიფოს, ევოლუციისა და მოდერნიზაციის გზა. პოლიტიკისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის სხვადასხვა მასშტაბი ბადებს შეკითხვას, თუ რატომ ვერ მოახერხა ყაზახეთმა რადიკალური პოლიტიკური რეფორმების გატარება მმართველი დემოკრატიის დამყარებისკენ. ამ კუთხით ნაშრომში გაანალიზებულია სამი არგუმენტი: (i) ყაზახეთის ელიტებსა და საზოგადოებას შორის დადებული სოციალური კონტრაქტის განსხვავებული ტიპი, (ii) ძლიერი მმართველობა, რომელმაც ძირი გამოუთხარა რეჟიმის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას, (iii) ყაზახეთის ისტორიული მემკვიდრეობა. სტატიაში გამოყენებულია პოლიტიკური ფილოსოფიის სოციალური კონტრაქტის თეორია და სოციალური მეცნიერებების მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდები.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყაზახეთში პოლიტიკური ტრანსფორმაცია არ მომხდარა, მიუხედავად რადიკალური და წარმატებული რეფორმებისა ეკონომიკურ სფეროში. პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის პოლიტიკური წარმატების დისკურსი გახდა საფუძველი სოციალური კონტრაქტისა იმ ადამიანებთან, რომლებიც მთავრობას აფასებდნენ მხოლოდ როგორც მატერიალური სარგებლის მიმწოდებელს. ამავე თვალსაზრისით, ასეთი დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას 1990-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე. ამრიგად, მთავრობის მთავარი პრიორიტეტი მძიმე ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო, ხოლო კონსოლი-

დირებული წესით ეკონომიკური კრიზისის დაძლევის აუცილებლობა აჭარბებდა დემოკრატიული რეჟიმისადმი ერთგულებას. უფრო მეტიც, კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი აფერხებდა პოლიტიკური პროტესტის ყოველგვარ მცდელობას და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების შექმნას, რამაც შეარყია პოლიტიკური ტრანსფორმაცია. ერთი მხრივ, არსებულმა სოციალურმა კონტრაქტმა და მეორე მხრივ, ადამიანის თავისუფლებების მკაცრმა შეზღუდვებმა განაპირობა ხალხის ადაპტირება რეჟიმთან, მათი ფოკუსირება ეკონომიკურ ფაქტორებზე, პოლიტიკური მოთხოვნების სიმცირე და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების სურვილის ნაკლებობა. უფრო მეტიც, დამოუკიდებლობა არ იყო როგორც ყაზახეთის დემოკრატიული ტიპის მმართველობისა და მისი დირებულებებისადმი დაბრუნება, რამაც პოლიტიკური ტრანსფორმაციის განხორციელება კიდევ უფრო გაართულა. იგივე ტენდენცია გრძელდება ტოკაევის მმართველობის სტილში ნაზარბაევის ეპოქის დასრულების შემდეგ. ელიტებსა და ჩვეულებრივ მოსახლეობას შორის მზარდი სხვადასხვაობა, საზოგადოებრივი უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, პოლიტიკური ანგარიშვალდებულების ნაკლებობა და მმართველი ელიტებსთვის უფლებას მინეჭება მიიღონ გადაწყვეტილებები სახელმწიფოს სახელით, ძირს უთხრის რეჟიმის შეცვლის შესაძლებლობას მოკლევადიან პერსპექტივაში.


გამოყენებული ლიტერატურა

- Akhanov, S., and L. Buranbayeva. 1996. "Foreign Investment and Trade in Kazakhstan." In *Economic Transition in Russian and the New States of Eurasia*, edited by B. Kaminski, 138-158. London: M.E. Sharpe.
- Akkuly, S. 2009. "Появление и распад ДВК послужили уроком только для власти." *Radio Azattyq*, November 20, 2009. https://rus.azattyq.org/a/Kazakhstan_dvk_round_table/1882932.html (accessed August 16, 2021).
- Akkuly, S. 2011. "Как президент Казахской ССР незаметно стал президентом Республики Казахстан." *Radio Azattyq*, April 5, 2011. https://rus.azattyq.org/a/kazakhstan_election_nazarbayev_/3546446.html (accessed August 16, 2021).
- Bacon, E. 2002. "Reconsidering Brezhnev." In *Brezhnev Reconsidered*, edited by E. Bacon & M. Sandle, 1-21. New York: Palgrave Macmillan.
- Bertelsmann Transformation Index. 2020. *Kazakhstan Country Report 2020*. <https://www.bti-project.org/en/reports/country-report-KAZ-2020.html> (accessed August 4, 2021).
- Blackwood, M. 2021. *Kazakhstan*. Annual Report. Washington: Congressional Research Service.
- Boucher, D., and P. Kelly. 1994. "The Social Contract and its Critics: An Overview." In *The Social Contract from Hobbes to Rawls*, edited by D. Boucher & P. Kelly, 1-34. London: Routledge.
- Bremmer, I., and C. Welt. 1996. "The Trouble with Democracy in Kazakhstan." *Central Asian Survey* 15, no. 2: 179-199.
- Breslauer, G. W. 1978. "On the Adaptability of Soviet Welfare-State Authoritarianism." In *Soviet Society and the Communist Party*, edited by K. W. Ryavec, 3-25. Amherst: The University of Massachusetts Press.
- Carnegie Endowment for International Peace. 2020. *The Politics of Reform in Kazakhstan*. December 07, 2020. <https://carnegieendowment.org/2020/12/07/politics-of-reform-in-kazakhstan-event-7489> (accessed August 11, 2021).
- Cummings, S. N. 2005. *Kazakhstan: Power and the Elites*. New York: I. B. Tauris & Co.
- Dave, B. 2007. *Kazakhstan: Ethnicity, Language and Power*. London: Routledge.
- Esanov, A. 2009. "Economic Diversification: The Case for Kazakhstan." *Revenue Watch Institute*, n.d.: 1-33.

- Evers, W. M. 1977. "Social Contract: A Critique." *Journal of Libertarian Studies* (Pergamon Press) 3, no. 3: 185-194.
- Freedom House. 2021. *Freedom in the World*. <https://freedomhouse.org/country/kazakhstan/freedom-world/2021> (accessed July 20, 2021).
- Ibadildin, N., and D. Pisareva. 2020. "Central Asia in Transition: Social Contract Transformation in Nazarbayev and Post-Nazarbayev Kazakhstan." Edited by A. Mihr. *Studies in the Organization for Security and Cooperation in Europe (OSCE) Member States* (Springer): 101-116.
- Official Website of the President of the Republic of Kazakhstan. *The Constitution*. 1993. https://www.akorda.kz/en/official_documents/constitution (accessed August 10, 2021).
- Olcott, M. 2010. *Central Asia's Second Chance*. Brookings Institution Press.
- Rousseau, J-J. 2004. *The Social Contract*. London: Penguin Great Ideas.
- Sakwa, R. 2014. *Putin Redux: Power and Contradiction in Contemporary Russia*. London: Routledge.
- Satpaev, D. 2007. "An Analysis of the Internal Structure of Kazakhstan's Political Elite and an Assessment of Political Risk Levels." In *Empire, Islam and Politics in Central Eurasia*, edited by U. Tomohiko, 283-300. Sapporo: Hokaido University.
- Tengri News. 2016. *Назарбаев оценил свою работу на посту Президента*. March 20, 2016. https://tengrinews.kz/kazakhstan_news/nazarbaev-otsenil-svoyu-rabotu-na-postu-prezidenta-291129/ (accessed August 14, 2021).
- The Economist. 2020. *Global Democracy Index 2020*. <https://www.economist.com/graphic-detail/2021/02/02/global-democracy-has-a-very-bad-year> (accessed August 5, 2021).
- The World Bank. *GDP Growth (annual %) - Kazakhstan*. 2020. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=KZ> (accessed July 23, 2021).
- Wandel, J. 2009. "Kazakhstan: Economic Transformation and Autocratic Power." *Mercatus Policy Series* (George Mason University): 1-49.
- World Bank Group. 2018. "A New Growth Model for Building a Secure Middle Class." 125611-KZ.
- Zakaria, F. 1997. "Rise of Illiberal Democracy." *Foreign Affairs* (Council on Foreign Relations) 76, no. 6: 22-43.

დანართები

დანართი 1: მშპ-ს ზრდა (% წლიური) - ყაზახეთი



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები